



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ-სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ
მალაროს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ ალავეიძე

წევრები:

თამარ ხეჩიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ნინო აბესაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი;
ნინო ფორჩხიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი;
ნინო ავალიანი-უცხოური ენების ექსპერტი;
სალომე არაბიძე-ესთეტიკური აღზრდას ექსპერტი;
ინგა ცერცვაძე-ტექნოლოგიების ექსპერტი;
ილონა აკობია-სახელმწიფო ენის ექსპერტი;
ლალი აბულაძე-მათემატიკის ექსპერტი;
ქეთევან ბორაშვილი -სპორტის ექსპერტი;
ქეთევან მეგრელიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240413183

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღი/სოფელი მაღარო
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი/სოფელი მაღარო
საფოსტო ინდექსი	4200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Magharo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595956601

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 27 მაისის ბრძანება N MES 2 24 0000582376
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17-18 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო. სკოლას აქვს ერთი შენობა.
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის **2024 წლის 27 მაისის N MES 2 24 0000582376** ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: თინათინ ალავეიძე. წევრები: თამარ ხეჩიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, ნინო აბესაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი, ნინო ფორჩხიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი, ნინო ავალიანი-უცხოური ენების ექსპერტი, სალომე არაბიძე-ესთეტიკური აღზრდას ექსპერტი, ინგა ცერცვაძე-ტექნოლოგიების ექსპერტი, ილონა აკობია-სახელმწიფო ენის ექსპერტი, ლალი აბულაძე-მათემატიკის ექსპერტი,

ქეთევან ბორაშვილი-სპორტის ექსპერტი, ქეთევან მეგრელიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი დაევალა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მადაროს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17-18 ივნისს. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მადაროს საჯარო სკოლაში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმის (teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი ვირტუალურად გაეცნო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მდგომარეობას. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებულ მიგნებებს გაეცნენ დაწესებულების წარმომადგენლები ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმიდან წარმოადგენა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წარმოადგენა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით	1. სკოლამ უზრუნველყოს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე სათვალთვალო კამერების დამონტაჟება. 2. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 01.04.2026 წლისთვის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტის მიღება; 3. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 02.04.2025 წლისთვის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება.

	დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 მაისამდე, პანდუსისა და ლიფტის მოწყობა.
ინდიკატორი N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 01.07.24 წლამდე, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განთავსება ვებ გვერდზე.
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 01.07.24 წლამდე, სკოლის ვებ გვერდზე სტანდარტით განთავსების/ინფორმაციის/დოკუმენტების სრულყოფილად განთავსება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე) მე-5 და მე-6 კლასების მათემატიკის კურიკულუმის კორექტირება. კურიკულუმში ასახონ თემის ფარგლებში შესასრულებელი შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალებები.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე), დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის კორექტირება. კურიკულუმში ასახონ დიფერენცირებული მიდგომები.

ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე) შეფასების სისტემის დახვეწა.
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (02.09.25), უზრუნველყოს მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსით აღჭურვა. კერძოდ, პროექტორის განახლება და ინტერნეტწვდომის გაფართოება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე), მე-8 კლასის მათემატიკის კურიკულუმის კორექტირება. მე-8 კლასის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმში შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალებების ასხვა.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე) უზრუნველყოს საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის კორექტირება ისე, რომ ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომები.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე) მათემატიკაში შეფასების სისტემის დახვეწა, რათა საბაზო საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (02.09.25) უზრუნველყოს საბაზო საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსით აღჭურვა. კერძოდ, პროექტორის განახლება და ინტერნეტწვდომის გაფართოება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე), მე-11 კლასის მათემატიკის კურიკულუმის კორექტირება.
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე), საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების ასახვა.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.09.24-მდე), მათემატიკაში შეფასების სისტემის დახვეწა, რათა საშუალო საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (02.09.25), უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსით აღჭურვა. კერძოდ, პროექტორის განახლება და ინტერნეტწვდომის გაფართოება.

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	
--	---	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გახლავთ ზოგადი და საჭიროებს სკოლასთან შესაბამისობაში მოყვანას.
ინდიკატორი N 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რაიმე ფორმა, რომლითაც შეძლებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მოკვლევას (არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად) მოახდენს მის ანალიზს, რომლის შედეგებიც აისახება სასკოლო კურიკულუმში.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არის ზოგადი და სასურველია, რომ სკოლამ მოარგოს თავის საჭიროებებს.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები,	საბუნებისმეტყველო: ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. სკოლაში გამოყოფილია მცირე ზომის ფართები, სადაც ინახება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები, თუმცა ვერ ხერხდება პრაქტიკული



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	აქტივობების განხორციელება ამ ოთახებში ფართის სიმცირის გამო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოებს და იყენებენ იმ რესურს რაც წარმოდგენილია ლაბორატორიის რესურსების შესანახ ოთახებში, კარგი იქნება თუ სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გამოყოფს სამ საკლასო ოთახს - ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის პრაქტიკული აქტივობებისთვის, გაიწერება გრაფიკი, როდის და რომელ კლასთან იგეგმება ისეთი აქტივობები სემესტრის განმავლობაში მოცემულ საკლასო ოთახებში და მოხდება კლასების გაცვლა. გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები. სპორტი: სასურველი იქნება, თუ სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის შეიმუშავებს სპეციალურ გეგმას ტესტებისა და ნორმატივების სახით, სადაც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი ზღვარი და მოსწავლის შესაძლებლობები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	უცხოური ენები: სასურველია, რომ კურიკულუმში სასწავლო წლის დასაწყისში შეივსოს სრულყოფილად, ყველა თემის მიხედვით გაწეროთ კომპლექსური დავალების პირობა, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ასევე სასურველია გაითვალისწინოთ, რომ შემოქმედებითი პროდუქტი მორგებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, ამიტომ უმჯობესი იქნება თავიდანვე გაიწეროს რამდენიმე ვარიანტი. (მაგ. წერილობითი ნამუშევრისთვის შეფასების კრიტერიუმებში შესაძლოა გაიწეროს სიტყვების რაოდენობის სხვადასხვა ზღვარი.) ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც სამივე საფეხურისთვის მოცემულია სარეკომენდაციო თემები და სავალდებულო თემატური ბლოკები (ნაცვლად სახელმძღვანელოს პარაგრაფების დასახელებისა). ასევე კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს (გასაუბრებაზე მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოადგინეს). კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი) პროექტის გეგმის თუ პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	უცხოური ენები: კურიკულუმში აწყობილია სახელმძღვანელოს მიხედვით და მიჰყვება მას. სასურველია, კონკრეტული თემების ირგვლივ მოიძიონ მასწავლებლებმა დამატებითი რესურსები და გამოიყენონ ისინიც თემის გასამდიდრებლად. ასევე სასურველია სახელმძღვანელოში მოცემული თემები დაუკავშირონ მდგრადი განვითარების მიზნებს და ისე შეიტანონ საკლასო ოთახში, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს გახდის (მაგალითად თემა „ჩემი სკოლა“ შეგიძლიათ შეცვალოთ და იმუშაოთ თემაზე „ჩემი მწვანე სკოლა“ დააკავშირეთ მდგრადი განვითარების მე-12 მიზანთან, პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება). ასევე სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან შემოქმედებითი პროდუქტის რამდენიმე ვარიანტი და გაწეროთ ის საგნობრივ კურიკულუმშიც. მორგენ მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ასევე სასურველია გამოიყენონ დამატებითი რესურსები და ტექნოლოგიები საგაკვეთილო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას, სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქვს არა ერთი სასწავლო, თუ სოციალური პროექტი, რომლის გეგმებიც წარმოდგენილია დამატებითი დოკუმენტაციის სახით. აღნიშნული

		დოკუმენტაცია საჭიროებს მეტად სრულყოფას და ყველა იმ მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებას, რაც პროექტისა თუ შესაბამისი აქტივობის შემადგენელი ნაწილია. ასევე პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტაციის აღრიცხვა-წარმოებაში, სასურველია სკოლამ გაიაროს შესაბამისი მომზადება. ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური (ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება (მაგალითად, საკითხი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამგვარად: მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა თხრობის გეგმაზე დაყრდნობით; გ. ლეონიძის მოთხრობა „მარიტაში“ გადმოცემული ამბის თხრობა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხედვის კუთხიდან და ა.შ). ასევე კათედრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი და ძირითადი რესურსი (ტექსტი) ერთი და იგივე არაა. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელი ცხოვრება“ არის ტექსტი, ძირითადი რესურსი, ხოლო საკითხი - რეპორტაჟის მომზადება გიორგი მერჩულეს ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით).
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველი იქნება, თუ კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი იქნება მეტად მრავალფეროვანი და მორგებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ასევე კათედრას ეძლევა რჩევა, უფრო აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები: სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტი და კლასში განხორციელებული აქტივობები მასწავლებლებმა მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. (ამაში დაეხმარება ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება სწავლების დროს). კურიკულუმის რევიზიის პროცესში შეაჯერონ გამოყენებული აქტივობები, იმსჯელონ იმ აქტივობებზე, რომლებსაც დატოვებენ მომდევნო წელსაც. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებულ შემოქმედებითი და შემცნებითი დავალებების (კომპლექსური დავალებები, პროექტები, როლური თამაში და ა.შ..) შეფასებისას კათედრა ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკებს, სასურველია მათ შეიმუშაონ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის და მასწავლებელს მეტად მისცემს საშუალებას, მოსწავლის შეფასებისას იხელმძღვანელოს მის მიერ შესრულებული დავალების შესაბამისი კრიტერიუმებით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც



		კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა კონკრეტულს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გახლავთ ზოგადი და საჭიროებს სკოლასთან შესაბამისობაში მოყვანას.
ინდიკატორი N 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რაიმე ფორმა, რომლითაც შეძლებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მოკვლევას (არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად) მოახდენს მის ანალიზს, რომლის შედეგებიც აისახება სასკოლო კურიკულუმში.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არის ზოგადი და სასურველია, რომ სკოლამ მთარგმნოს თავის საჭიროებებს.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	საბუნებისმეტყველო: ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. სკოლაში გამოყოფილია მცირე ზომის ფართები, სადაც ინახება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები, თუმცა ვერ ხერხდება პრაქტიკული აქტივობების განხორციელება ამ ოთახებში ფართის სიმცირის გამო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოებს და იყენებენ იმ რესურს რაც წარმოდგენილია ლაბორატორიის რესურსების შესაწახს ოთახებში, კარგი იქნება თუ სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გამოყოფს სამ საკლასო ოთახს - ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის პრაქტიკული აქტივობებისთვის, გაიწერება გრაფიკი, როდის და რომელ კლასთან იგეგმება ისეთი აქტივობები სემესტრის განმავლობაში მოცემულ საკლასო ოთახებში და მოხდება კლასების გაცვლა. გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები. სპორტი: სასურველი იქნება, თუ სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის შეიმუშავებს სპეციალურ გეგმას ტესტებისა და ნორმატივების სახით, სადაც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი ზღვარი და მოსწავლის შესაძლებლობები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	უცხოური ენები: სასურველია, რომ კურიკულუმში სასწავლო წლის დასაწყისში შეივსოს სრულყოფილად, ყველა თემის მიხედვით გაწერონ კომპლექსური დავალების პირობა, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ასევე სასურველია გაითვალისწინონ, რომ შემოქმედებითი პროდუქტი მორგებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ამიტომ უმჯობესი იქნება თავიდანვე გაიწეროს რამდენიმე ვარიანტი. (მაგ. წერილობითი ნამუშევრისთვის შეფასების კრიტერიუმებში შესაძლოა გაიწეროს სიტყვების რაოდენობის სხვადასხვა ზღვარი.) ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც სამივე

		საფეხურისთვის მოცემულია სარეკომენდაციო თემები და სავალდებულო თემატური ბლოკები (ნაცვლად სახელმძღვანელოს პარაგრაფების დასახელებისა). ასევე კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს (გასაუბრებაზე მოსწავლეთა ნამუშევრების წარმოადგენს). კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი) პროექტის გეგმის თუ პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	უცხოური ენები: კურიკულუმში აწყობილია სახელმძღვანელოს მიხედვით და მიჰყვება მას. სასურველია, კონკრეტული თემების ირგვლივ მოიძიონ მასწავლებლებმა დამატებითი რესურსები და გამოიყენონ ისინი თემის გასამდიდრებლად. ასევე სასურველია სახელმძღვანელოში მოცემული თემები დაუკავშირონ მდგრადი განვითარების მიზნებს და ისე შეიტანონ საკლასო ოთახში, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს გახდის (მაგალითად თემა „ჩემი სკოლა“ შეგიძლიათ შეცვალონ და იმუშაონ თემაზე „ჩემი მწვანე სკოლა“ დააკავშირონ მდგრადი განვითარების მე-12 მიზანთან, პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება). ასევე სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან შემოქმედებითი პროდუქტის რამდენიმე ვარიანტი და გაწერონ ის საგნობრივ კურიკულუმშიც. მოარგონ მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ასევე სასურველია გამოიყენონ დამატებითი რესურსები და ტექნოლოგიები საგაკვეთილო პროცესში. ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური (ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება (მაგალითად, საკითხი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამგვარად: მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა თხრობის გეგმაზე დაყრდნობით; გ. ლეონიძის მოთხრობა „მარიტაში“ გადმოცემული ამბის თხრობა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხედვის კუთხიდან და ა.შ). ასევე კათედრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი და ძირითადი რესურსი (ტექსტი) ერთი და იგივე არაა. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელი ცხოვრება“ არის ტექსტი, ძირითადი რესურსი, ხოლო საკითხი - რეპორტაჟის მომზადება გიორგი მერჩულეს ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით).
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები: სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტი და კლასში განხორციელებული აქტივობები მასწავლებლებმა მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. (ამაში დაეხმარება ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება სწავლების დროს). კურიკულუმის რევიზიის პროცესში შეაჯერონ გამოყენებული აქტივობები, იმსჯელონ იმ აქტივობებზე, რომლებსაც დატოვებენ მომდევნო წელსაც. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას.

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა კონკრეტულს. საზოგადოებრივი მეცნიერებები: შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი სანდოობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი ობიექტურობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი სამართლიანობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გახლავთ ზოგადი და საჭიროებს სკოლასთან შესაბამისობაში მოყვანას.
ინდიკატორი N 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რაიმე ფორმა, რომლითაც შეძლებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მოკვლევას (არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად) მოახდენს მის ანალიზს, რომლის შედეგებიც აისახება სასკოლო კურიკულუმში.

ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არის ზოგადი და სასურველია, რომ სკოლამ მოარგოს თავის საჭიროებებს.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	საბუნებისმეტყველო: ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. სკოლაში გამოყოფილია მცირე ზომის ფართები, სადაც ინახება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები, თუმცა ვერ ხერხდება პრაქტიკული აქტივობების განხორციელება ამ ოთახებში ფართის სიმცირის გამო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოებს და იყენებენ იმ რესურს რაც წარმოდგენილია ლაბორატორიის რესურსების შესანახ ოთახებში, კარგი იქნება თუ სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გამოყოფს სამ საკლასო ოთახს - ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის პრაქტიკული აქტივობებისთვის, გაიწერება გრაფიკი, როდის და რომელ კლასთან იგეგმება ისეთი აქტივობები სემესტრის განმავლობაში მოცემულ საკლასო ოთახებში და მოხდება კლასების გაცვლა. გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	უცხოური ენები: სასურველია, რომ კურიკულუმი სასწავლო წლის დასაწყისში შეივსოს სრულყოფილად, ყველა თემის მიხედვით გაწერონ კომპლექსური დავალების პირობა, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ასევე სასურველია გაითვალისწინოთ, რომ შემოქმედებითი პროდუქტი მორგებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ამიტომ უმჯობესი იქნება თავიდანვე გაიწეროს რამდენიმე ვარიანტი. (მაგ. წერილობითი ნამუშევრისთვის შეფასების კრიტერიუმებში შესაძლოა გაიწეროს სიტყვების რაოდენობის სხვადასხვა ზღვარი.) ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც სამივე საფეხურისთვის მოცემულია სარეკომენდაციო თემები და სავალდებულო თემატური ბლოკები (ნაცვლად სახელმძღვანელოს პარაგრაფების დასახელებისა). ასევე კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს (გასაუბრებზე მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს). კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი) პროექტის გეგმის თუ პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	უცხოური ენები: კურიკულუმი აწყობილია სახელმძღვანელოს მიხედვით და მიჰყვება მას. სასურველია, კონკრეტული თემების ირგვლივ მოიძიონ მასწავლებლებმა დამატებითი რესურსები და გამოიყენონ ისინიც თემის გასამდიდრებლად. ასევე სასურველია სახელმძღვანელოში მოცემული თემები დაუკავშირონ მდგრადი განვითარების მიზნებს და ისე შეიტანონ საკლასო ოთახში, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს გახდის(მაგალითად თემა „ჩემი სკოლა“ შეგიძლიათ შეცვალოთ და იმუშაოთ თემაზე „ჩემი მწვანე სკოლა“ დააკავშირეთ მდგრადი განვითარების მე-12 მიზანთან, პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება). ასევე სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან შემომქედებითი პროდუქტის რამდენიმე ვარიანტი და გაწერონ ის საგნობრივ კურიკულუმშიც. მოარგენ



		თქვენი მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ასევე სასურველია გამოიყენონ მასწავლებლებმა დამატებითი რესურსები, ასევე გამოიყენონ ტექნოლოგიები საგაკვეთილო პროცესში. ესთეტიკა: ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში, სასურველია, თემების დასახელება სწორად მიეთითოს და გაემიჯნოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საგაკვეთილო თემებს, მკაფიოდ დაკონკრეტდეს საკითხი, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენა: სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური(ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება (მაგალითად, საკითხი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამგვარად: მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა თხრობის გეგმაზე დაყრდნობით; გ. ლეონიძის მოთხრობა „მარიტაში“ გადმოცემული ამბის თხრობა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხედვის კუთხიდან და ა.შ.). ასევე კათედრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი და ძირითადი რესურსი(ტექსტი) ერთი და იგივე არაა. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელი ცხოვრება“ არის ტექსტი, ძირითადი რესურსი, ხოლო საკითხი - რეპორტაჟის მომზადება გიორგი მერჩულეს ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით).
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები: სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტი და კლასში განხორციელებული აქტივობები მასწავლებლებმა მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. (ამაში დაგეხმარებათ ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება სწავლების დროს). კურიკულუმის რევიზიის პროცესში შეაჯერონ გამოყენებული აქტივობები, იმსჯელონ იმ აქტივობებზე, რომლებსაც დატოვებენ მომდევნო წელსაც. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებულ შემოქმედებით და შემცნებითი დავალებების (კომპლექსური დავალებები, პროექტები, როლური თამაში და ა.შ..) შეფასებისას კათედრა ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკებს, სასურველია მათ შეიმუშაონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის და მასწავლებელს მეტად მისცემს საშუალებას, მოსწავლის შეფასებისას იხელმძღვანელოს მის მიერ შესრულებული დავალების შესაბამისი კრიტერიუმებით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა კონკრეტულს. საზოგადოებრივი მეცნიერებები: შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი

		გამჭირვალობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი სანდოობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი ობიექტურობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას). შეფასების კრიტერიუმების მეტი სამართლიანობისთვის კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტულ დავალებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმებით/რუბრიკით, რომელიც არ იქნება ზოგადი ხასიათის (სკოლის მიერ წარმოდგენილი ზოგადი ტიპის შეფასების რუბრიკები, რომელიც ნაკლებად მიესადაგება ამა თუ იმ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას).
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადები, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკები. სკოლამ წარმოადგინა ასევე დანართები და მტკიცებულებები ხარვეზების გამოსწორების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და „ნაწილობრივ შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც „შესაბამება“.



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია მიმართულია მოსწავლის უწყვეტი განვითარებისკენ და შეესაბამება ე.ს.გ-ს. და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: „სსიპ -სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მადაროს საჯარო სკოლის მისიაა, გამოავლინოს მოსწავლეთა პოტენციალი, რათა შემდეგში ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, საზოგადოებაში ინტეგრირებულ, სამართალსა და ადამიანის უფლებების დამცველ, განათლებულ და მზრუნველ მოქალაქეებად, რითაც ისინი შეძლებენ თანამედროვე გლობალურ სამყაროში რეალიზაციას.“ სკოლის საგანმანათლებლო ამოცანები გულისხმობს ხარისხიან განათლებას სწავლების ყველა საფეხურზე, სწავლების თანამედროვე და აღიარებული მეთოდების გამოყენებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი საგანმანათლებლო სივრცეში და პასუხისმგებლობა საზოგადოებაში. სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებისკენ. ამ მიზნით სკოლაში იგეგმება და ტარდება საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები, გასვლითი ღონისძიებები, შეხვედრები, კლუბური და წრეობრივი მეცადინეობები. მოსწავლეებში ლიდერობისა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების მიზნით, გაწერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-06 ბრძანებით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო განვითარების გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. ამავე ბრძანებით სამუშაო ჯგუფს დაევა SWOT ანალიზის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე. ვიზიტის პერიოდში, სკოლის დირექციასთან და პედაგოგიურ საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ არსებული სკოლის მისია და ხედვა შემუშავებული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შეხვედრების და ზეპირი გამოკითხვის, საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მათი აზრით, არსებული ვერსია საჭიროებს გადახედვას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფი მოახდენს არსებული სკოლის ფილოსოფიის რევიზიას. სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-05 ბრძანებით სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია მათთან და გათვალისწინებულია მათი შეხედულებები. როგორც აღვნიშნეთ, სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მისიის რედაქტირებული ვერსიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები ატვირთულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების ვებ გვერდზე skolebi.emis.ge. <https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName> აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ფოიეში.

6. სკოლის სახელწოდება სსიპ-სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მადაროს საჯარო სკოლა“ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 13.09.2005-ის N448 ბრძანებით "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ სკოლის ტიპს და სახელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N2. სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო განვითარების გეგმის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
2. დანართი N4. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. დანართი N7. სამუშაო ჯგუფის ოქმი;
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
5. <https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N2-05 ბრძანებით სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი, სასკოლო გარემოს ანალიზია. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია SWOT ანალიზი.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - წესი) წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. გეგმის შედგენის პროცესი მოიცავს 5 ძირითად ეტაპს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;



- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის მუშაობა. ანკეტირებული გამოკითხვისთვის კითხვარების მომზადება და სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. დირექციის განმარტებით და ასევე, შესაბამისობის გეგმით, 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლა სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს 7 წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სკოლა შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას წარმოადგენს 2024 წლის 15 სექტემბრამდე. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რითიც მუშაობდნენ გასულ სასწავლო წელს. წარმოდგენილი დოკუმენტით იკვეთება, რომ სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა. მომავალი წლის ერთწლიან სამუშაო გეგმას შეიმუშავენ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე და შესაბამისად ამ გეგმის შემუშავების შემდეგ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სკოლა უზრუნველყოფს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას 2024 წლის 15 სექტემბრამდე. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის მუშაობა. მათ წარმოადგინეს შემუშავებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგების სამუშაო ვერსია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სკოლა 2024 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოფს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N5. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

დანართი N7. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს ახორციელებს სამ წელიწადში ერთხელ შუალედურ და საბოლოო შეფასებას. შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც, საჭიროების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას ეს პროცესი არ განუხორციელებია, რადგან სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავების პროცესშია. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების, გაზიარების და საჯაროობის პროცესი გაწერილია მეთოდოლოგიაში და გეგმების შემუშავების შემდეგ სკოლა შეძლებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**
4. **ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული და სკოლის დირექციის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს. სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის N2-16 ბრძანებით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი. დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი/ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი, მუშა, ცეცხლფარეში) უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია/ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. მკაფიოდაა განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლაში მკაფიოდაა განაწილებული მოვალეობები, რომელიც შრომით ხელშეკრულებაშია გაწერილი. მასწავლებლებისთვის შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. სკოლამ პერსონალისთვის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების გაცნობის ფაქტის შესახებ მტკიცებულებად წარმოადგინა ორმხრივად ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის 2024

წლის 21 თებერვლის N2-07 ბრძანებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N13. უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;

დანართი N14. წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;

დანართი N32. სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა;

დანართი N10. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

დანართი N. სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2024 წლის 21 თებერვლის N2-07 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებულთა შესაძლებლობების წარმოჩენა/რეალიზება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობას, თანასწორობას, დამსახურებაზე

დაფუძნებულ მიდგომას, ხარისხზე ორიენტაციას, პროფესიულ განვითარებს და გუნდურობას. 2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N1 სხდომაზე დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი. ეს ორი დოკუმენტი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. 2024 წლის 21 თებერვლის N2-07 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-11 მუხლით განსაზღვრულია ვაკანტურ ადგილზე მასწავლებლის შერჩევის წესი. ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის N2-17 ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა, დასაქმებულის უფლებამოსილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge. კონკურსის ეტაპებია:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება;
- კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

სკოლას, ბოლო პერიოდში, კონკურსის წესით მიღებული ჰყავს საქმისმწარმოებელი. 2023 წლის 8 ნოემბერს www.pedagogi.ge -ზე გამოქვეყნებული აქვს საქმისმწარმოებლის პოზიციაზე ვაკანსია. კონკურსი ჩატარდა 2 ეტაპად. საბუთების გადარჩევა და გასაუბრება. შედეგები გაფორმებულია ოქმით. შერჩეულ კანდიდატთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბოლო წლების მანძილზე მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსია არ ჰქონიათ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლაში დასაქმებულია 28 მასწავლებელი. აქედან 19 უფროსი და 9 წამყვანი მასწავლებელი. თანამშრომელთა პირად საქმეში დევს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი. ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლეობის შესახებ. არ დევს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა 2020 წლიდან სკოლას მასწავლებლის ახალი კადრი არ მიუღია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტებით თვალნათელია, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდური მუშაობის პრინციპზეა დაფუძნებული. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული აქვთ სასკოლო პროექტები. სკოლის მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, მაგალითად, ბრიტანეთის საბჭოს ონლაინ მასწავლებელთა ფასილიტატორი, რომელიც თვეში ორჯერ-სამჯერ ატარებს ლაივ სესიებს ინგლისურ ენაზე, ნებისმიერ ინფორმაციას აწვდის დროულად და ეხმარება ჯგუფში შემავალ თითოეულ მასწავლებელს შექმნილი პრობლემების მოგვარებაში. მასწავლებლები



ყოველწლიურად მონაწილეობენ კონფერენციებში, რაც უმნიშვნელოვანესია გამოცდილების გაზიარების კუთხით, კონფერენციაზე „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“ გატანილი მოხსენება „არაფორმალური განათლების როლი ფორმალურ განათლებაში დებატების კლუბის მუშაობის მაგალითზე“ დაიბეჭდა გაზეთ ახალ განათლებაში, ასევე ერთმა მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში „EdCamp Georgia“-ს ორგანიზებით ჩატარებულ პედაგოგთა მასშტაბურ ეროვნულ კონფერენციაზე სახელწოდებით „მასწავლებელი-ინოვაციური სწავლების გზამკვლევი“ და „პროფესიული სწავლების დანერგვა სკოლაში“. სკოლაში წამყვანი მასწავლებლების მიერ შექმნილია ლიდერთა გუნდი, რომელიც მონაწილეობს პრიორიტეტული თემის შერჩევასა და სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელებაში. სკოლაში წარმატებულ პრაქტიკად დაინერგა სასკოლო კონფერენციის ჩატარება-ჩემი საუკეთესო გამოცდილება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თითოეული მასწავლებლის პროფესიული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით. სკოლის მასწავლებლებს eTwining-ის პროექტების ფარგლებში მიღებული აქვთ ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშნები და მიწვიეს 10 წლისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. სკოლის ორი მასწავლებელი მესამედ გახდა Microsoft-ის ექსპერტი მასწავლებელი. ისინი სისტემატიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან და აცნობენ office 365-ის ფუნქციების მნიშვნელობას და მათი გამოყენების უპირატესობას სასწავლო პროცესში. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სასწავლო, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში. საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს და გამარჯვება მოიპოვეს სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ მუნიციპალურ თამაში ფრენბურთში. სკოლაში იმართება, სპორტის მასწავლებლის ინიციატივით, მხიარული სტარტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ და კარიერულ წინსვლას. უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. წახალისებულია თითოეული ინიციატივა და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სკოლა აჯილდოებს სხვადასხვა ნომინაციაში წარმატებულ პედაგოგებს. სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ მასშტაბურ ღონისძიებაზე, სკოლამ წარადგინა პედაგოგი, რომელსაც მიენიჭა „ღვაწლმოსილი პედაგოგის სტატუსი“. სკოლის დაწყებით საფეხურზე დანერგილია ლიდერი მასწავლებლის კულტურა. ლიდერი მასწავლებლები ჩართულები იყვნენ USAID-ის დაწყებითი განათლების პროგრამაში, ესწრებოდნენ ტრენინგებს და სიახლეებს, სამუშაო ჯგუფებში, უზიარებდნენ მასწავლებლებს. სკოლას გაცნობიერებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მნიშვნელობა. ამისათვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N21. სკოლის შინაგანაწესი;

დანართი N10. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

დანართი N15. გამოქვეყნებული ვაკანსია საქმისმწარმოებლის პოზიციაზე;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში. (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N2-17-ით 2024 წლის 28 თებერვალს.) სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ამ დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:
 - ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
 - ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;



- გ) შემოწმების განხორციელება;
 - დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
 - ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.
- მე-10 მუხლი ეხება დასკვნის შედგენას და უკუკავშირს.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 თებერვლის N2-13 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში პერსონალის მუშაობის შეფასების წესი.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის შეფასების წესი. დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების შემოწმების პერიოდულობა და ვინ ამოწმებს. დოკუმენტი შემუშავებულია 2024 წლის თებერვალში და სკოლა ამ მიმართულებით საქმიანობას ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების ფორმები, ჩატარებულ გაკვეთილზე გაცემული უკუკავშირის ფორმა. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით, სკოლის დირექცია ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად მუშაობს პერსონალის შეფასებასა და განვითარებაზე, კერძოდ, პედაგოგის პრაქტიკის დახვეწისა და განვითარების მიზნით, წინასწარ შემუშავებული რუბრიკებით, ესწრება გაკვეთილებს, აფასებს მასწავლებელს, აძლევს უკუკავშირს და გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ამ პროცესებს ხელი შეუწყო USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა. ლიდერი მასწავლებლები. ატარებდნენ სამუშაო შეხვედრებს საგნობრივ ჯგუფებთან და უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ მექანიზმი გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 მუხლში. მნიშვნელოვანია, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე. თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში, სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა, მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა, თავისი მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ფარგლებში, მუდმივად ცდილობს წახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ეს იქნება პედაგოგებზე გამოთქმული სიტყვიერი მადლობა თუ მცირე მატერიალური წახალისება პრემიის სახით. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე და გამოხატავს მუდმივ მხარდაჭერას. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებელმა მწვანე ჯილდოს მისაღებად სკოლას წარუდგინა პროექტი. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა დირექციამ და ჩაერთნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოება. პროექტის ფარგლებში სკოლის ეზოში გაშენდა ყვავილების ბაღი, გალამაზდა სკოლის ეზო. ამ აქტივობით მასწავლებელი მოხვდა „მწვანე ჯილდოს“ ნახევარფინალში. ასევე მასწავლებლის ინიციატივით განხორციელდა აქტივობა “ნუ მოჭრით ნამკვ” ამ პროცესში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის მხარდაჭერით მოხდა ხელნაკეთი ნამკვების ხეების გამოფენა-გაყიდვა. ასევე განხორციელდა სოციალური პროექტები „სიკეთე გადამდებია“. სკოლის პერსონალის და მოსწავლეების წახალისების ფორმები და გამოყენების წესი შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N10. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

დანართი N33. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

დანართი N21. სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგიურ საზოგადოებასთან საუბრით გამოიკვეთა, რომ მათ ზუსტად ესმით სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად.

სკოლის მმართველობითი პროცესებია:

- ა) სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბ) წლიური დაგეგმვა;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

სკოლის ძირითადი პროცესებია:

- ა) კურიკულუმის განვითარება;
- ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

სკოლის დამხმარე პროცესებია:

- ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;
- ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;
- გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;
- დ) ფინანსური რესურსებს მართვა;
- ე) ადამიანური რესურსების მართვა;



- ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
- ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
- თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- კ) კარიერული განვითარება; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში თანამშრომელთა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასაჩივრების მექანიზმები გაწერილია დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის N2-14 ბრძანებაში „სსიპ-სოლომონ დოდაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლაში წარდგენილი განცხადებების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგების დადგენის პროცედურების დამტკიცების შესახებ“. საჩივრების ეფექტური სისტემა შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

- ✓ წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა;
- ✓ საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა;
- ✓ საჩივრების პროცედურების სიმარტივე;
- ✓ გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის;
- ✓ საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამოძიება და გადაწყვეტა. დოკუმენტში ასევე გაწერილია წარმოების ვადები. დირექციასთან გასაუბრებით, სკოლაში სუფევს მეგობრული, თანამშრომლობითი ატმოსფერო, ამიტომ სკოლას წარმოებაში საჩივარი არ მიუღია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 თებერვლის N2-20 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. დოკუმენტი 9 მუხლისგან შედგება და მოიცავს რეგულირების სფეროს, მიზანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს, ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, შიდა და გარე კომუნიკაციას, მოტივაციის ამაღლებასა და ინიციატივების ხელშეწყობას, უკუკავშირის შედეგებსა და ანალიზს. ასევე, სკოლას შინაგანაწესში ჩადებული აქვს პერსონალის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 24. საჩივრის განხილვის შიდა მექანიზმი;

დანართი N33. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი N - საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (მშობელთა კრების ოქმი) დასტურდება, რომ კრებაზე მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, შეფასების სისტემას, სადამრიგებლო აქტივობებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. ასევე, სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გაწერილია ორმხრივი უფლება-მოვალეობები. სკოლას ინფორმაცია გამოქვეყნებული აქვს ვებგვერდზე. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხდება სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლის ფოიეში განთავსებულია „წინადადებების და შენიშვნების“ სპეციალური ყუთი, სადაც მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ ანონიმურად გამოხატონ თავიანთი აზრი და მიაწოდონ დირექცია. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა კითხვარი მშობლებისთვის. უკუკავშირის მიღებით სკოლას სურს იცოდეს, როგორ დააკმაყოფილოს უკეთ მშობელთა საჭიროებები და სურვილები მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ამოცანები და აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნული დასტურდება სამოქმედო გეგმაში ასახული შესასრულებელი საკითხების და პასუხისმგებელი პირების მრავალფეროვნებით. ასევე, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებით, სადაც ნათლად ჩანს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N25. კითხვარი მშობლებისთვის;

დანართი N 5. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N44. 46. სამეურვეო სასბჭოს ოქმი N6 და N8;
დანართი N30. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
დანართი N22. დიცსიპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. სკოლის შენობაში ვიზიტორის შესვლა კონტროლდება მორიგე მასწავლებლის მიერ, ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ტარდება ვიზიტორების აღრიცხვის ჟურნალში. დასვენებებზე, ყველა სართულზე, მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ხელნაკეთი ევაკუაციის გეგმა. სკოლაში არ არის დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სკოლა შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას უზრუნველყოფს 06.08.2026 წლამდე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია 01.05.2025 წლამდე ამ დოკუმენტის შეთანხმება. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შეთანხმებული დოკუმენტი. 13.06.2024 MIA 8 24 01761165 წერილით სკოლას შეთანხმებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებას სკოლა უზრუნველყოფს 02.04.2025 წლისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტოზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოსამზადებლად. დამატებით დოკუმენტაციაში სკოლამ წარმოადგინა სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გაგზავნილი წერილი (MES 3 24 0000431329; 15/04/2024), რომელშიც ითხოვს შუამდგომლობას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გამოსაყოფად.

სკოლას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის გეგმით 01.04.2026 წლისთვის სკოლა უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დოკუმენტის მიღებას. 2020 წლის 24 თებერვალს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლაში ჩატარდა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. 2020 წლის 24 თებერვალს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის N601

მიწერილობის თანახმად, შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის მიზნით სკოლისთვის სავალდებულო გახდა გარკვეული ღონისძიებების შესრულება, თუმცა სკოლამ მცირე ბიუჯეტის გამო, დღემდე ვერ შეძლო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. დამატებით დოკუმენტაციაში სკოლამ წარმოადგინა სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გაგზავნილი წერილი (MES 1 24 0000670737; 14/06/2024), რომელშიც ითხოვს, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, შუამდგომლობას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. **ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას ჰყავს ექიმი და ფუნქციონირებს შესაბამისი კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლის ექიმი აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და უზრუნველყოფს როგორც პირველადი დახმარების გაწევას, ასევე ზრუნავს სკოლაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა შინაგანაწესით არეგულირებს დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის ეზოში საზოგადოების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მორიგე მასწავლებელი. სკოლის დირექტორის 2019 წლის 17 აპრილის N 13-06 ბრძანებით განსაზღვრულია პირი, სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმა. სკოლის საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მოსწავლეთა მიერ შემუშავებული ქცევის წესები. სკოლაში ხშირად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები თემებზე:

- ბუღინგისა და კიბერბუღინგის შესახებ;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი. ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის საფუძველია: უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება ან მოსწავლის მიერ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისთვის მიმართვა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა ცდილობს სასკოლო გარემოში იყოს ღია კომუნიკაცა და პატივისცემით ურთიერთქმედებები.

ბუღინგის საწინააღმდეგო და კონფლიქტების მართვის აქტივობები, ინკლუზიური გარემოს შექმნა, სადაც მრავალფეროვნება აღინიშნება და ყველა ჩართულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, როგორც სკოლის შიდა, ასევე, გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლის შესასვლელში, დერეფნებსა და სველ წერტილებში განთავსებულია ურნები. სკოლის სისუფთავეზე პასუხისმგებელი არიან დამლაგებლები. საშტატო განრიგით განსაზღვრულია 4 დამლაგებლის შტატი. დამლაგებლის სამუშაო აღწერილობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში და პერსონალის მუშაობის შეფასების წესში. სკოლის დამლაგებლებს ევალებათ: უზრუნველყონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა.

პერიოდულად განახორციელონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილებისა და სასწავლო ინვენტარის სადებიზინფექციო საშუალებით დასუფთავება. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის ყველა საჭირო რესურსით მომარაგებას. სკოლის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ნივთები და სადებიზინფექციო საშუალებები ინახება ჩაკეტილ სივრცეში, პირვანდელი შეფუთვით. სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექიმს. მასვე ევალება ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სასმელი წყლის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას და მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობის განახორციელებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. სკოლაში ტარდება დასუფთავების აქციები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის დირექტორის 2024 წლის პირველი მარტის N 2-21 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია გამოყოფილ სივრცეში. მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვა ევალება საქმეთა მმართველს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლის ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული პროგრამა, რომელსაც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლაზე მომაგრებული თანამშრომელი. ასევე მუშაობის პროცესში იყენებს emis-ის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს, რომელიც უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით და დაცული ვებ-გვერდების გამოყენებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენების პრაქტიკა სკოლას არ აქვს. **პირველადი ავტორიზაციის გამო ეს ინდიკატორი არ შეფასდა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N27. შენობის მდგრადობაზე გაგზავნილი წერილი და ხელშეკრულება;

დანართი N26. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

დანართი N35. უსაფრთხოების გეგმა.

დანართი N8. პერსონალის მუშაობის შეფასების წესი.

დანართი N. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა განთავსებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროში. რეესტრის ამონაწერისა და აზომვითი ნახაზების თანახმად მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია N51.11.45.298, ნაკვეთის ფართობი შეადგენს 12395 კვ.მ.-ს. შენობა ოთხ სართულიანია. შენობის საერთო ფართობია 2060,91 კვ.მ. სკოლის შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. დირექციის განმარტებით სკოლა ჩასმულია 2025-2026 წლის სარეაბილიტაციო გეგმაში. არსებული ვითარებით სასკოლო სივრცე და ასევე, ეზო შეძლებისდაგვარად მოვლილი და დასუფთავებულია. სასწავლო გარემო პოზიტიურია. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი

(ბუნებრივსაფარიანი და მოსაწესრიგებელი), კომპიუტერული ლაბორატორია (ლაბორატორიაში მოსაწესრიგებელია ელექტრო გაყვანილობა. არსებული მდგომარეობა უსაფრთხოების თვალსაზრისით რისკის შემცველია). სკოლის შენობაში არის 3 ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების განსათავსებლად, თუმცა არ არის მოწყობილი და ამიტომ სკოლა არ იყენებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სივრცეებს. მწირი რესურსები, რაც აქვთ კლასებში შეაქვთ მასწავლებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები არიან მოტივირებულები, მოსწავლეებთან ერთად თავად ქმნიან რესურსებს. 2022-2023 სასწავლო წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციასთან. გაგზავნილმა პროექტმა „ცდები და ექსპერიმენტები არაორგანულ ქიმიაში“ გაიმარჯვა კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება, რითაც ქიმიის ლაბორატორია ნაწილობრივ შეივსო ქიმიური ჭურჭლით. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტია, არასაკმარისი ფინანსების გამო, ვერ ახერხებს ლაბორატორიის რესურსებით უზრუნველყოფას.

სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი, თითოეულ საკლასო ოთახში - ერთი ან ორი მაგნიტური დაფა. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, შესვენებაზე კი- დასვენება.

სკოლის შენობა და მიმდინარე ფართობი (ეზო) სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს უფადო, უსასყიდლო ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ნაწილობრივ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. შენობა თბება ცენტრალური გათბობით. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებია: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სოლომონ დოდაშვილის სახელობის სასკოლო მუზეუმი, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი(შიდა), სადაც, ტარდება შიდა სასკოლო და სკოლებს შორის სპორტული აქტივობები, სპორტული მოედანი(გარე), დერეფანი, ეზო. გარემო უსაფრთხოა, მოწესრიგებული და მყუდრო. არსებული ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას ქმნის, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი კატალოგიზირებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. თუმცა საბიბლიოთეკო ფონდი მწირია, საჭიროებს განახლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. გარემოს სრულად ადაპტირებისთვის სკოლას ჭირდება პანდუსის და ლიფტის მოწყობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით სკოლა 01.05.2026 წლამდე უზრუნველყოფს პანდუსის და ლიფტის მოწყობას, ასევე რესურსოთახის განახლებას. **ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ხორციელდება სასკოლო პროექტები. ყოველი წლის 17 მაისს სკოლაში არსებული სოლომონ დოდაშვილის სახელობის

მუზეუმის თაოსნობით აღნიშნავენ „სოლომონობას“, რომლის ფარგლებშიც იმართება კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები სასკოლო საზოგადოების და მოწვეული სტუმრების ჩართულობით. სკოლა მიზნობრივად იყენებს სკოლის დერეფნებს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისთვის. ვიზიტის პერიოდში სკოლის დერეფნებში ბევრი ასეთი ნამუშევარი დაგვხდა. სკოლის ბიბლიოთეკაში იმართება პოეზიის საღამოები, „კითხვის დღესთან“ დაკავშირებული აქტივობები, ქართველი და უცხოელი მწერლების და გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო საღამოები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 36. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დანართი 37. სკოლის აზომვითი ნახაზი;
- დანართი 38. ბრძანება ბიბლიოთეკით სარგებლობით დადგენილი წესები.
- დანართი 39. ბიბლიოთეკის სურათები
- დანართი 40. სპორტული დარბაზის სურათები
- დანართი 31. ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიების ბმული

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- ადმინისტრაცია აღჭურვილია ოთხი პერსონალური კომპიუტერით, რომელიც საშუალებას აძლევს შეუფერხებლად, სრულფასოვნად და გონივრულ ვადაში აწარმოონ სასკოლო დოკუმენტაცია. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, თუმცა კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული 10 პერსონალური კომპიუტერიდან მუშაობს მხოლოდ 5 კომპიუტერი. რადგან კომპიუტერული ტექნოლოგიებით მრავალფეროვანი სასწავლო ელექტრონული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნებას, ამიტომ მასწავლებლები ხშირად სახლიდან მოტანილ საკუთარ ლეპტოპს და ტელეფონით გაზიარებულ ინტერნეტს (სკოლა არ არის აღჭურვილი Wi-Fi სისტემით) იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
- სკოლაში ტექნიკით სარგებლობის პროცესი, მისი გამოყენების მიზნობრიობა და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობა დარეგულირებულია შემუშავებული განრიგით, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ლაბორატორიაშივეა გამოკრული კომპიუტერული ლაბორატორიაში ქცევის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 41. საინვენტარო აღწერილობის აქტები

ფოტომასალა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
- სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის N2-10 ბრძანებით (23.02.2024) დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, ახორციელებს ოფიციალურ მიმოწერას. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, სკოლის დირექციასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წარმოებს მათი რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული eflow სისტემის მეშვეობით და მატერიალური ფორმით. კანცელარიაში შემოსული ოფიციალური კორესპონდენცია მიიღება, სკანერდება და აღირიცხება უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით, იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში, თიმის პლატფორმა და ვებგვერდი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისი წესების გათვალისწინებით იცავს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურებს. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან კომუნიკაციის უზრუნველყოფას. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლემენტს. ასევე საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს ანგარიშს. ამისთვის, დირექტორის ბრძანებით ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. ასევე, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, საგანმანათლებლო პროცესის, სწავლების ხარისხის და სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N42 საქმისწარმოების ერთიანი წესი;
დანართი 44. სამეურვეო საბჭოს ოქმი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 თებერვლის N 2-20 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სასკოლო თემთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდს „მადაროს საჯარო სკოლა“. ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სასკოლო ცხოვრების სიახლეები და აქტივობები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის ფეისბუქ გვერდს მართავს სკოლის დირექციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი, უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლისთვის თემთან სწორი კომუნიკაცია წარმოადგენს პრიორიტეტს, შესაბამისად სკოლა დაინტერესებულია ისეთი ტიპის უკუკავშირით რომელიც ამარტივებს და ეფექტურს ხდის კომუნიკაციას სკოლასა და თემს შორის. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასკოლო



საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივი აზრის შესატყობად იყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, მაგალითად, სკოლის მეილი, სატელეფონო შეტყობინება, სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელიდან და მშობელთა კრებებიდან შემოსულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ინფორმაცია ასახული skolebi.emis.ge პორტალზე. რეკომენდაციის გათვალისწინებით დღეისათვის სკოლის ვებგვერდზე ნაწილობრივ ასახულია ინფორმაცია. განთავსებულია: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა, სასკოლო პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ბიუჯეტი. ვიზიტის პერიოდში სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავების პროცესში იყო, შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ამ დოკუმენტის ვებგვერდზე განთავსების ვადად სკოლამ მიუთითა 01.07.24 წელი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. skolebi.emis.ge პორტალზე განთავსებულია: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა, სასკოლო პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ბიუჯეტი. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ვებ გვერდზე სტანდარტით განთვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტების განთავსებას. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

skolebi.emis.ge პორტალი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლას აქვს ორი სახის დაფინანსება: ვაუჩერული და სამინისტროდან მიღებული დამატებითი დაფინანსება დეფიციტის დაფარვის მიზნით. სკოლა მცირე ბიუჯეტისაა, ვაუჩერული დაფინანსება არაა საკმარისი პედაგოგთა ხელფასების, კომუნალური გადასახადებისა და სკოლის სხვა აუცილებელი საჭიროებებისათვის. ამიტომ, ყოველი თვის 15 რიცხვამდე სკოლა აგზავნის წერილს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის მიზნით. დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიურ ფინანსურ ანგარიშს. ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით 20 ნოემბრამდე მტკიცდება სკოლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში ყოველწლიურად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება. დაგეგმვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შემღებობისდაგვარად ხდება მათი ინტერესების გათვალისწინება, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი დინამიურია, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა და დამტკიცება. სკოლა წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზოს და რეალისტურად გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 44. სამეურვეო საბჭოს ოქმი;

დანართი 46. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის ცვლილებაზე;

დანართი 47. შესყიდვების ბრძანება

დანართი 48. შესყიდვების კოორდინატორის ბრძანება;

დანართი 54. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლის, მშობლისა და სკოლის უფლება-მოვალეობები. შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. შინაგანაწესს თითოეული კლასის დამრიგებელი მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე, სკოლა იცავს და ასრულებს მოსწავლეთა ისეთ კანონიერ უფლებებს, როგორიცაა მე-5 კლასში მეორე უცხოური ენის არჩევა. სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი უკავშირდება მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და მათი ინდივიდუალური გამოკითხვის საფუძველზე ირჩევს მეორე უცხოური ენა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია. სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესი გაკრულია სკოლაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე და სხვადასხვა

შეხვედრებზე (პირისპირ და სოციალურ ქსელში) აცნობენ მოსწავლეთა მშობლებს შინაგანაწესის შინაარსს. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს აქტივობებს, რომლებიც მშობლებისა და მოსწავლეების ცნობიერებას აამაღლებს მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

წარმატებით მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა სხვადასხვა მიმართულებებით. ატარებენ შეხვედრებს, საუბრებს, ახორციელებენ პროექტებს. მათი წინადადებები გათვალისწინებული და გაზიარებულია, მაგ: თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ჩატარდა ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ინტელექტუალური კონკურსი, რომლის მიზანი იყო ყველაზე ინტელექტუალური მოსწავლის გამოვლენა. ასევე თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა ელექტრონული გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელიც გააშუქებს სასკოლო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

თვითმმართველობის ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა სპორტული კვირეული. მოსწავლეთა უფლებების დაცვის პასუხისმგებლობას იზიარებს სასკოლო საზოგადოება. სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი „ერთი დღე ბიბლიოთეკაში“. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს IX-XII კლასების მოსწავლეებმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში შემოსულ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებულია ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ინფორმაცია, უფლება-მოვალეობების გაცნობის პერსონალური ინფორმაციის დაცვის (ფოტოების, მონაცემების, აქტივობების გასაჯაროების შესახებ თანხმობა, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი), წიგნებისა და ბუკების თაობაზე ხელშეკრულებები აკისრებს მშობლებს მოვალეობას წიგნების მოვლისა და სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკისთვის დაბრუნებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 21. შინაგანაწესი;

დანართი 50. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის ბრძანებით სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა განხორციელდა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დამლევის ბრძანება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც უზრუნველყოფს და აწარმოებს სკოლის შიდა რეგულაციით დადგენილ მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/მობილობის/სტატუსის შეჩერების პროცედურებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. განცხადებები იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქის გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



დანართი 43. მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესის

დანართი 51. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;

დანართი 52. ბრძანება მოსწავლის მიერ საფუხურის დაძლევის შესახებ;

დანართი 53. მოსწავლი ამორიცხების ბრძანება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუსავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სადამრიგებლო დებულებით ახალი მოსწავლის სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეს აცნობს

სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას ამ გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს, სკოლის მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოებს და ესაუბრება მის ფუნქცია-მოვალეობებსა და უფლებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლაში ყველა კლასში არის ასაკის შესაბამისი ინვენტარი. სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში სხვა სკოლიდან ახალგაძმოსული მოსწავლისათვის, ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც ახალ მოსწავლეს აცნობს სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას ამ გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს და ესაუბრება მის ფუნქცია-მოვალეობებსა და უფლებებზე. სასწავლო გარემოსთან შეგუების პროცესში დამრიგებელთან ერთად ერთვებიან თანაკლასელები (ამაზე წინასწარ მუშაობს მათთან დამრიგებელი), პირველკლასელები კი ყველა ერთად ეცნობა სასკოლო სივრცეს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. მასწავლებლები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიმძნელების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლეთა მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და სხვა კონკურსებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ სკოლა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მოსწავლემ ვერ შეძლო სასწავლო პროცესში სრულყოფილი ჩართვა, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებს და მიმდინარეობს მუშაობა ამ საჭიროებებზე. დროულად ხდება რეაგირება ყველა განცხადებაზე. მოსწავლეთა მობილობისა და ვადების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში, სასკოლო საზოგადოების მეტად ინფორმირებულობისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი ინიციატივების წახალისებას და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. აქტიურად მუშაობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა. მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კონკურსებში. სკოლას ჰყავს სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები ისტორიაში და რუსულ ენაში.

სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში. სკოლას ჰყავს კინგბოქსინგის მუნიციპალურ ტურნირში მონაწილე და საქალაქთაშორისო ტურნირზე გამარჯვებული მოსწავლეები. სკოლაში იმართება შიდა სასკოლო სპორტული ღონისძიებები, ასევე მონაწილეობენ რაიონულ სპორტულ ტურებში, სადაც ხშირად იმარჯვებენ.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან წამოსული ინიციატივების მხარდაჭერას. თვითმმართველობის ჩატარდა ყველა კლასში ინტელექტუალური კონკურსი. პირველ ეტაპზე გამოვლინდნენ „კლასის ინტელექტუალები“, მათგან შეიქმნა ჯგუფი „სკოლის ინტელექტუალები“, რომლებიც მონაწილეობდნენ რაიონულ და რეგიონალურ ინტელექტუალურ ღონისძიებებში. თვითმმართველობისგან წამოსული ინიციატივით შეიქმნა ელექტრონული გაზეთი, რომელშიც შუქდება სასკოლო საზოგადოების სიახლეები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და უფროსკლასელთა (IX-XII) მონაწილეობით ჩატარდა ლიტერატული ღონისძიება „ერთი დღე ბიბლიოთეკაში“. მადაროს სკოლის მოსწავლეთა მიერ განხორციელდა სოციალური პროექტები: „სიკეთე გადამდებია“ (X კლასი) და „ჩვენც დავბერდებით“ (VI კლასი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად. სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. ამ მიზნით სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით. სხვადასხვა საგანში დიაგნოსტიკური წერების ჩატარება. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი და მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა. სკოლა გეგმავს Forms-ში კითხვარების შემუშავებას და უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 49. მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.

დანართი 55. შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექციის განმარტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მიზანმიმართულად მუშაობს. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე ხშირად იმართება საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ. კარიერული მომსახურების მიზნით კლასის დამრიგებლების პროგრამაში გათვალისწინებულია კლასის საათი - „პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება“. სკოლა უზრუნველყოფს ექსკურსიებს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. პროფესიული განათლების გაცნობიერების მიზნით, მოეწყო ექსკურსია გლდანის პროფესიულ სასწავლებელში. სკოლამ 2024 წლის 13 მარტს, გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრთან“. შესაბამისად, განხორციელდება ამ მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობები/პროექტები. სკოლაში მოეწეობა, როგორც პირისპირ ისე დისტანციური შეხვედრები, რომელთა თემები განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად. სკოლას ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს სსიპ კოლეჯ „აისთან“. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა პარტნიორი სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზნით. წინა წლებშიც ჰქონდა სკოლას თანამშრომლობა ამ კოლეჯთან. პროგრამის ფარგლებში კოლეჯმა სკოლა უზრუნველყო კულინარიის კურსის შესასწავლი საჭირო ინვენტარით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. კლასის დამრიგებლის სამუშაო პროგრამით დასტურდება, რომ კლასის დამრიგებელი მუდმივად აწვდის მოსწავლეებს და მათ მშობლებს ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მათ გეგმაში გაწერილია მომავალი პროფესია (კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება), რჩევები და შეხვედრები სასწავლო წლის მანძილზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლაში კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლა სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლისთვის მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, სად სურთ ვიზიტები, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 56. მემორანდუმი - კოლეჯ „გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრთან“

დანართი 57. კოლეჯში ვიზიტის ამსახველი ფოტო-მასალა

დანართი. მემორანდუმი - კოლეჯ „აისთან“

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მექანიზმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შინ სწავლებაზე მყოფ მოსწავლეთა საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში არის სივრცე რესურსოთახის მოსაწყობად. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის მიღების. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია. სკოლა ჩართულია განათლების და მეცნიერების სამინისტროს - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. სკოლის ადმინისტრაცია თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა მომსახურების სერვისის უსაფრთხოებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია. თუმცა აქვს მზაობა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გაწიოს ნებაყოფლობის პრინციპით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია. დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებისთვის კონკრეტული სერვისის შეთავაზება მოხდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გათვალისწინებული იქნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 20. მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების განრიგი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

- კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
- მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სტანდარტთან შესაბამისობაშია;

2. მე-5 კლასის მათემატიკის კურიკულუმის შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალება ერთადერთი აქტივობით, ხოლო მე-6 კლასის კურიკულუმი კი 2 პროექტით შემოიფარგლება (აქედან ერთი მინი-პროექტია), როდესაც მრავლადაა (მაგ. Math.ge-ზე) თითოეული თემის ფარგლებში შესასრულებელი სანიმუშო შემეცნებითი და შემოქმედებითი დავალებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, 2024 წლის 16 სექტემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს მე-5 და მე-6 კლასების მათემატიკის კურიკულუმის კორექტირებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სტანდარტთან შესაბამისობაშია;

4. საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში არსად ჩანს დიფერენცირებული მიდგომები. მხოლოდ ერთი გაკვეთილის გეგმაში ჩანს აქტივობა მოსწავლეთა მზაობის მიხედვით დაჯგუფებით. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არ იცნობენ დიფერენცირების სხვა სახეს. არ იცნობენ მოსწავლეთა სწავლის სტილის, ინტერესების განსაზღვრის მექანიზმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, 2024 წლის 16 სექტემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმის კორექტირებას და მასში დიფერენცირებული მიდგომების ასახვას. ინდიკატორი 2.1.2.4. მეტწილ შესაბამისობაშია.

5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-08;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები ;
- <https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName>
- მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
- მალაროს საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;



- ვიდეომასალა - https://drive.google.com/drive/folders/1-80Q_q4BaJQ9Llvmr3oXlQ4bAjkIdVLn?usp=sharing
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- მინი პროექტის გეგმა-„გავამდიდროთ ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა“ საგანი - მე და საზოგადოება (დამატებითი დოკუმენტაცია);
- მინი პროექტის გეგმა-„ჩემი მხარის ძეგლები“ საგანი- ჩვენი საქართველო (დამატებითი დოკუმენტაცია).
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარით;
- სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუში დაწყებით საფეხურზე;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა შეფასების სისტემის გამჭვირვალებასა, სამართლიანობასა და ობიექტურობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ვიმსჯელებთ. სკოლის ვებ-გვერდზე შეფასების სისტემა აქტირებული არ არის. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლა განმავითარებელი შეფასების მრავალი ინსტრუმენტიდან იყენებს მხოლოდ ორს - სიტყვიერ კომენტარსა და შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ეს მექანიზმი ჯერ არ მუშაობს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, 2024 წლის 16 სექტემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს დაწყებითი საფეხურის კლასების მათემატიკის კურიკულუმის კორექტირებას და შეფასების სისტემის დახვეწას. **ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილ შესაბამისობაშია.**

4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-08;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები ;
- <https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName>
- მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
- მალაროს საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ვიდეომასალა - https://drive.google.com/drive/folders/1-80Q_q4BaJQ9Llvmr3oXlQ4bAjkJdVLn?usp=sharing
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- მინი პროექტის გეგმა-„გავამდიდროთ ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა“ საგანი - მე და საზოგადოება (დამატებითი დოკუმენტაცია);
- მინი პროექტის გეგმა-„ჩემი მხარის ძეგლები“ საგანი- ჩვენი საქართველო (დამატებითი დოკუმენტაცია).
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარით;
- სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუში დაწყებით საფეხურზე;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. სკოლა მათემატიკაში ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს - კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება, თუმცა მათ ვერ იყენებენ, რამდენადაც სკოლას მხოლოდ ერთი მოძველებული პროექტორი აქვს და ინტერნეტთან წვდომაც არ აქვთ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით, იღებს ვალდებულებას 2024 წლის 25 სექტემბრამდე შეძლებს სკოლის საჭირო რესურსებით აღჭურვას. **ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილ შესაბამისობაშია.**

4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-08;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები ;
- <https://skolebi.emis.ge/schools/1297?schoolName>



- მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
- მალაროს საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ვიდეომასალა - https://drive.google.com/drive/folders/1-80Q_q4BaJQ9Llvmr3oXlQ4bAjkIdVLn?usp=sharing
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- მინი პროექტის გეგმა-„გავამდიდროთ ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა“ საგანი - მე და საზოგადოება (დამატებითი დოკუმენტაცია);
- მინი პროექტის გეგმა-„ჩემი მხარის ძეგლები“ საგანი- ჩვენი საქართველო (დამატებითი დოკუმენტაცია).
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარით;
- სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუში დაწყებით საფეხურზე;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- მალაროს საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატრი შესაბამისობაშია.
2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-08;
- მალაროს საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- შეფასების რუბრიკები;
- გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. არ არის გათვალისწინებული პირველადი ავტორიზაციის გამო.
2. არ არის გათვალისწინებული პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.
4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების განრიგი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;



2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სტანდარტთან შესაბამისობაშია;

2. მე-8 კლასის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი და შემეცნებითი დავალება მოიცავს მხოლოდ ორ იდენტურ აქტივობას - ორი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის შესახებ პრეზენტაციას. მსგავსი შინაარსის პროექტი გვხვდება მე-9 კლასის კურიკულუმშიც. მოსწავლეებს ევალებათ მაგალითად, მხოლოდ პითაგორას ბიოგრაფიული ცნობების, მათემატიკური აღმოჩენების, ფილოსოფიური შეხედულებებისა და მის მიერ დაარსებული სკოლის მოღვაწეობის შესახებ მხოლოდ ინფორმაციის მოძიება. ეს აქტივობა რა კავშირშია სასწავლო მიზნებთან, არ ჩანს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს საბაზო საფეხურის კურიკულუმის კორექტირებას 2024 წლის 16 სექტემბრამდე. **ინდიკატორი 2.1.2.2. მეტწილ შესაბამისობაშია.**

3. სტანდარტთან შესაბამისობაშია;

